



JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
ზურაბ ანჯაპარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

N 2332994
20.09.2021.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6.



ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ გეგმავს 35 კვ ძაბვის საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 1“-ის რეკონსტრუქციას.

რეკონსტრუქცია დაიგეგმა ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონის ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისა და ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდისთვის - რაც ცალსახად უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სამთო-სათხილამურო პოტენციალის გაზრდის კუთხით. ამასთან, დაბა ბაკურიანში 2023 წელს დაგეგმილია სათხილამურო და სნოუბორდის თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება, აღნიშნული კი მოითხოვს ელექტრომომარაგების მიწოდების საიმედოობის გაზრდას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მოცემული პროექტი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2021-2022 წლების სათხილამურო სეზონზე დაგეგმილია რამოდენიმე სატესტო ღონისძიება ბაკურიანში, ხოლო 2022 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები, რაც მოიცავს ელექტრომომარაგების კუთხით მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესებასაც.

მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს საქართველოს სათხილამურო ფედერაციას და საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციას ჰქონდა ონლაინ ინსპექცია, სადაც განიხილეს მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელი სამუშაოების სტატუსი, გენ-გეგმა და კიდევ ერთხელ აღნიშნეს ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მნიშვნელობა მსოფლიო ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებისათვის.

პროექტის მიმდინარეობისას, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით - მოსახლეობის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობებისაგან გვერდის ავლის მიზნით, გადაწყდა საყრდენების გარკვეული ნაწილის ადგილმდებარეობის შეცვლა, რისთვისაც შერჩეულ იქნა ყველაზე ურბანული და სახეცვლილი ადგილები, რათა მინიმუმირებული ყოფილიყო გარემოზე ზემოქმედება.

ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით, სარეკონსტრუქციო 35 კვ ძაბვის „ცემი 1“-ის ელექტროგადამცემი ხაზი წარმოადგენს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ელექტრომომარაგების ქსელის ნაწილს, რომლის ექსპლუატაციაზე 2009

წლის 8 მაისის №49 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-928; 19/10/2020).

საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განსახილველად წარმოგიდგენთ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 1“-ის რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

დანართი:

- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 1“-ის რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;
- 35 კვ ძაბვის ეგზ „ცემი 1“-ის რეკონსტრუქციის ფარგლებში ბიომრავალფეროვნების შეფასების ელექტრონული ვერსია;
- ელექტრული და მაგნიტური ველების დამაბულობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობების შესახებ საექსპერტო დასკვნის ელექტრონული ვერსია;
- სატყეო უწყისების ელექტრონული ვერსიები;
- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 1“-ის კოორდინატები (Shp ფაილები);

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



შემსრულებელი: მარიამ მჭედლიშვილი /ტელ: 577 35 10 55